საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030100169650820

№ 01-70/ო **27 / თებერვალი / 2020 წ.**

ახალი კორონა ვირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერატიული გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოში ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღკვეთის ღონისძიებებისა და ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 იანვრის N164 გაკარგულების მე-2 პუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა" და „ნ" ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და „ო" ქვეპუნქტების გათვალისწინებით,

ვბრძანებ,

1. დამტკიცდეს თანდართული „ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სპეციალური ოპერატიული გეგმა" (შემდგომში: გეგმა).

2. ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ იურიდიულ პირებს დაევალოთ:

ა) გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განხორციელება;

ბ) გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებისათვის დამატებითი ფინანსური რესურსის საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ასიგნებების გამოყოფის მიზნით (მათ შორის, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან), დაუყოვნებლივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა.

3. ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულმა იურიდიულმა პირებმა, ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების შემთხვევებზე სათანადო რეაგირების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ შესაბამისი შიდა სამოქმედო გეგმების დამტკიცება.

4. ამ ბრძანების შესრულებისა და კონტროლს უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე